ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 29/18

ქ. თბილისი 25 სექტემბერი 2018 წ.

ერთის მხრივ შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“ (შემდგომში “შემსყიდველი”), მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნინო მჭედლიშვილის სახით და მეორეს მხრივ სს „გუდვილი“ (შემდგომში “მიმწოდებელი”), დირექტორის გიორგი ხაბაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული, როგორც „მხარეები“, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **გამოყენებული ტერმინების განმარტებები**

1.1 ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომ – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომ “შემსყიდველი”) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.1.4 “მიმწოდებელი” ნიშნავს პირს, რომელიც აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.1.6 თუ ხელშეკრულებით გათვალიწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.

2. **ხელშეკრულების საგანი**

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პირსახოცის (CPV33763000). ტუალეტის ქაღალდის(CPV33761000), ფეირის(CPV39832000) საპნის (CPV33711900) ,ნაგვის პარკის(CPV19640000), ჰაერის აეროზოლის (CPV39811100), ტილოს (CPV39525800),სამზარეულოს ღრუბელის(CPV39500000) ხელთათმანის(CPV18141000) დომესტოსის (CPV39831600) (შემდგომში „საქონელი“) სახელმწიფო შესყიდვა დანართ #1 ში მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად.

2.2 შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი CPV33700000; CPV39800000; CPV19600000;CPV39500000;CPV 18100000.

3. **ხელშეკრულების ღირებულება**

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 516.75 (ხუთას თექვსმეტი და სამოცდათხუთმეტი) ლარი, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით;

24. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზურუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ერთიანად ხელშეკრულების დადებისთანავე.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

დ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა აწარმოოს წერილობით;

ე) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას;

ვ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 საქონსლის მიწოდებისას გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც დაფიქსირდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან.

5.2 ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდების ნებისმიერ ეტაპზე, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მოწოდებული საქონსლის ხარისხი ნებისმიერ დროს.

6. საქონლის მიწოდების პირობები

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთიანად ხელშეკრულების 4.1 პუნქტის ა) და ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

6.2 მიწოდების ადგილია ქ. თბილისი,დ.დიღომი,ფარნავაზ მეფის I(დასაწყობების გარეშე).

6.3 მიწოდებულ საქონელთან ერთად მიმწოდებელმა უნდა მიაწოდოს შემსყიდველს შემდეგი დოკუმენტაცია: საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში), საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.

6.4 პასუხისმგებლობა აღნიშნული დოკუმენტების დაგვიანებით მიღების შედეგად შემსყიდველისთვის წარმოქმნილი ყველა ხარჯისთვის ეკისრება მიმწოდებელს.

6.5 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიუღებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირების განმახორციელებელი პირების მონაწილეობით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებით, სადაც მიეთითება მიწოდებული საქონლის დასახელება, რაოდენობა და ფასი.

7.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებეული საქონლის მიწოდებისას მხარეები შერჩევის მეთოდით ახორციელებენ მიწოდებული საქონლის ვიზუალურ დათვალიერებას ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ინსპექტირებას (საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5

სამუშაო დღისა), რის შემდგომაც დგება მიღება–ჩაბარების აქტი და მიწოდებული საქონელი ჩაითვლება ჩაბარებულად.

7.3 შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია ზაალ ქუთათელაძე და გურამ ჭოღოშვილი.

8. გარანტია

8.1 საქონლის შემოწმების პროცესში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული აღმოფხვრას ხარვეზის არსებობის შესახებ შეტყობინების შემდგომ გონივრულ ვადაში მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში (ხარვეზის არსებობის დამადასტურებელ დოკუმენტაციასთან და/ან ნიმუშთან ერთად) და აანაზღაუროს საქონლის შემოწმების მიზნით შემსყიდველის მიერ დახარჯული თანხა.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში.

9.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 ანგარიშსწორების ვადა - საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებებიდან და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. თუ მიმწოდებელი: არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. თუ მიმწოდებელი გაფრთხილების (შემსყიდველის მიერ მითითებულ გონივრულ ვადაში) შემდეგაც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალიწინებული წესის შესაბამისად;

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

10.4. მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით;

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.7 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება ინსპექტირებისთვის გახარჯული დრო.

10.8 გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებით (მიმდინარე და ასევე უკვე შესრულებული ეტაპების მიხედვით) ინსპექტირების ჯგუფის მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ და ,,შემსყიდველთან'' შეთანხმებულ ვადაზე არ ვრცელდება საჯარიმო სანქციები.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 25 სექტემბრიდან 2018 წლის 30 ნოემბერამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კნონმდებლობით დადგენილი წესით.

12.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.3 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ორი კვირით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა მიერ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“ ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ. 7 სს„საქართველოს ბანკი“ BIC კოდი: BAGAGE22 ა/ა GE90BG0000000327280100 ს/კ 404437702	**მიმწოდებელი:** სს გუდვილი ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის 1 სს ,,თიბისი ბანკი'' BIC კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE61TB3615336020100004 ს/კ: 206343991
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნინო მჭედლიშვილი	---------- დირექტორი გიორგი ხაბაშვილი

N29/18 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დანართი #1

N	დასახელება	განზომ.	CPV	ფასი	რაოდენობა	ჯამი
1	ტუალეტის ქაღალდი/SELPAK/32 ც 3 ფენა	ცალი	33761000	22.95	5	114.75
2	პირსახოცი სელპაკი/12ც 3 ფენ	ცალი	33763000	16.50	12	198.00
3	ნაგვის პარკი-ფრეკენ ბოკი 50ც.	ცალი	19640000	3.50	15	52.50
4	თხევადი საპონი ვარდი Fax	ცალი	33711900	2.50	4	10.00
5	ფეირი ვაშლი 16 ლ	ცალი	39832000	3.70	5	18.50
6	ჰაერის აეროზოლი ტალღის წყვეთები	ცალი	39811100	2.50	6	15.00
7	უნივერსალური ტილო	ცალი	39525800	5.20	10	52.00
8	სამზარეულოს ღრუბელი	ცალი	39500000	2.40	5	12.00
9	ხელთათმანი	ცალი	18141000	3.40	5	17.00
10	დომესტოსი	ცალი	39831600	4.00	3	12.00
11	თხევადი საპონი ოკეანე	ცალი	33711900	2.50	6	15.00

შემსყიდველი: შპს „ჯიარ ტრანზიტ ლაინი“ ქ.თბილისი, ბაზალეთის ქ. 7 სს„საქართველოს ბანკი“ BIC კოდი: BAGAGE22 ა/ა: GE90BG0000000327280100 ს/კ: 404437702 ---------- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლი ნინო მჭედლიშვილი	მიმწოდებელი: სს გუდვილი ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ფარნავაზ მეფის 1 სს ,,თიბისი ბანკი” BIC კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE61TB3615336020100004 ს/კ: 206343991 ---------- დირექტორი გიორგი ხაბაშვილი